ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-35.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი ინფორმაციაა მართებული აქადის მეფის სარგონის შესახებ?

ა) საფუძველი ჩაუყარა ზოროასტრულ რელიგიას;

ბ) შექმნა უძველესი იეროგლიფური დამწერლობა;

გ) დააარსა ახალი დედაქალაქი ურუქი;

დ) პირველმა გააერთიანა შუამდინარეთის ქალაქები.

(1) 2. რომელი მოვლენაა დაკავშირებული აქემენიანი მმართველის კამბისეს სახელთან?

ა) სოლომონის ტაძრის აღდგენა იერუსალიმში;

ბ) ბერძენ-სპარსელთა ომების დაწყება;

გ) ხეთების დამორჩილება;

დ) ეგვიპტის დაპყრობა.

(1) **3. რომელი ინფორმაციაა მართებული ძვ.წ. VI-V სს. ათენში არსებული ოლიგარქიული მმართველობის შესახებ?**

ა) პოლიტიკური უფლებებით ქურუმთა საბჭო სარგებლობდა;

ბ) ძალაუფლება მცირერიცხოვან მდიდართა ხელში იყო;

გ) ხელისუფლება მხოლოდ სამხედრო ელიტას ეკუთვნოდა;

დ) ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო.

(1) **4. რომელი ინფორმაციაა მართებული ძვ.წ. IV ს-ში დაარსებული ქალაქ ალექსანდრიის შესახებ?**

ა) ნილოსის დელტაში აშენებული ქალაქი ელინისტურ ხანაში კულტურისა და ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი გახდა;

ბ) შუამდინარეთის უდიდესი ქალაქი იყო, რომელმაც მალე უმდიდრესი ბიბლიოთეკით გაითქვა სახელი;

გ) მცირე აზიაში მდებარე ქალაქი საყოველთაოდ ცნობილი გახდა იქ აგებული შვიდიდან ერთ-ერთი საოცრებით, ზევსის ტაძრით;

დ) სპარსეთზე გამარჯვების აღსანიშნავად აქემენიანთა სახელმწიფოს ძველი დედაქალაქის ადგილზე ახალი ქალაქი აშენდა.

(1) **5. რა ეწოდება წყაროს, რომელიც მოგვითხრობს ქართლის მმართველად აზოს დანიშვნაზე?**

ა) ძეგლი ერისთავთა;

ბ) მესხური ქრონიკა;

გ) ქართლის ცხოვრება;

დ) ამბავნი ქართლისანი.

(1) 6. რომელი სახელმწიფო მოხელე სარგებლობდა ვეტოს უფლებით რომში?

ა) სახალხო ტრიბუნი;

ბ) ლიქტორი;

გ) სამხედრო ცენზორი;

დ) ცენტურიონი.

(1) 7. რომელი ინფორმაციაა მართებული გერმანელთა ერთ-ერთი ბელადის ოდოაკრის შესახებ?

ა) უარი თქვა იმპერატორობასა და შესაბამის რეგალიებზე რომულუსის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ;

ბ) ტევტობურგის ბრძოლაში დაამარცხა ვესტგოთების უკანასკნელი მეფე ჰაიზერიხი და შეიერთა მისი სახელმწიფო;

გ) მცირეწლოვანი იმპერატორის ჰონორიუსის მეურვე იყო და, ფაქტობრივად, განაგებდა დასავლეთ რომის იმპერიას;

დ) დალაშქრა სასანიანთა ირანი და დაიბრუნა აღმოსავლეთ რომის იმპერიის მიერ ადრე დაკარგული ტერიტორიები მცირე აზიაში.

(1) 8. რომელი ფაქტია მართებული ჰერაკლე კეისრის შესახებ?

ა) რომის პაპმა აკურთხა იმპერატორად;

ბ) აღაზევა იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა;

გ) მანასკერტის ბრძოლაში დაამარცხა მავრიკიოსი;

დ) ტახტიდან ჩამოაგდო იმპერატორი ფოკა.

(1) 9. რომელი მსჯელობაა მართებული კარლოს მარტელის მოღვაწეობის შესახებ?

ა) შემოიღო მიწის მფლობელობის ახალი წესი ბენეფიციუმი;

ბ) შექმნა სამეფოს შემოსავლების ნუსხა, საშინელი სამსჯავროს წიგნი;

გ) დაყო სახელმწიფო საშერიფოებად;

დ) დედაქალაქი გადაიტანა ქალაქ აახენში.

(1) **10. XI საუკუნეში მომხდარ რა მოვლენას ეწოდა დიდი სქიზმა?**

ა) დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტას ბიზანტიისა და საღვთო რომის იმპერატორებს შორის;

ბ) ფრანკთა ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნას;

გ) იტალიის ქალაქების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ;

დ) საეკლესიო განხეთქილებას რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის.

(1) 11. რა მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა სელჩუკთათვის ბაღდადის აღებას?

ა) თოღრულ ბეგი ხალიფამ სულთნად აღიარა;

ბ) ალფ-არსლანს ყურულთაიმ დიდი ყაენის ტიტული მიანიჭა;

გ) ჩაღრი ბეგმა თავი შაჰად გამოაცხადა;

დ) მალიქ-შაჰი მუსლიმთა უზენაეს მმართველად გამოცხადდა.

(1) **12. რაზე მიუთითებდა ჰანზას კავშირის არსებობა შუა საუკუნეების ევროპაში?**

ა) რეკონკისტას შედეგად წარმოქმნილი ქალაქ-სახელმწიფოების სიძლიერეზე;

ბ) ბრიტანეთის კუნძულებზე დანიელთა წინააღმდეგ კოალიციის შექმნაზე;

გ) ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქებში ვაჭრობის განვითარებაზე;

დ) ევროპაში ნორმანთა სამფლობელოების გაფართოებაზე.

(1) **13. საქართველოს რომელი ისტორიული მხარის ერთი ნაწილი აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში XI საუკუნეში?**

ა) ჯავახეთის;

ბ) ტაოს;

გ) შავშეთის;

დ) კოლას.

(1) **14. ვინ იყვნენ ინგლისის პარლამენტის წევრები, ბარონებისა და სასულიერო პირების გარდა, XIII საუკუნის მეორე ნახევარში?**

ა) მოქალაქეები და შერიფები;

ბ) შერიფები და კონსტებლები;

გ) რაინდები და მოქალაქეები;

დ) კონსტებლები და რაინდები.

(1) **15. რომელი ყაენი მართავდა ოქროს ურდოს?**

ა) ბათო;

ბ) ჰულაგუ;

გ) ჩობანი;

დ) ჩაღატა.

(1) **16. რომელი სახელმწიფოს მმართველი დაიღუპა 1389 წელს კოსოვოს ბრძოლაში?**

ა) საღვთო რომის იმპერიის;

ბ) ოსმალეთის;

გ) ოქროს ურდოს;

დ) ბიზანტიის.

(1) **17. რა იყო 1402 წლის ანგორის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი?**

ა) ოსმალებმა ვეღარ შეძლეს კონსტანტინოპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის არსებობა გარკვეული ხნით გახანგრძლივდა;

ბ) ბიზანტიელებმა დაკარგეს მცირე აზიის პროვინციები, რომლებსაც სხვადასხვა მომთაბარე ტომი დაეუფლა;

გ) სელჩუკებმა მაინც შეძლეს ბოსფორის გადალახვა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობა დაიწყეს;

დ) ლათინთა იმპერიამ ვერ შეძლო სახალიფოს წინსვლის შეჩერება და იძულებული გახდა მძიმე ზავი გაეფორმებინა.

(1) 18. ვის სახელს უკავშირდება პორტუგალიელთა საზღვაო ექსპედიციების მოწყობა XV საუკუნეში?

ა) ფერნანდო მოგზაურის;

ბ) ლუიშ აფრიკელის;

გ) ენრიკე ზღვაოსნის;

დ) დიეგო ბარბაროსას.

(1) 19. რომელი ქალაქი დაკარგეს არაბებმა ყველაზე ბოლოს პირენეს ნახევარკუნძულზე?

ა) გრანადა;

ბ) ვალენსია;

გ) კადისი;

დ) მალაგა.

(1) **20. რომელ საგვარეულოს უკავშირდება ფლორენციის გადაქცევა რენესანსისა და ჰუმანიზმის ერთ-ერთ ცენტრად?**

ა) სფორცას;

ბ) ფარნეზეს;

გ) სკალიგერის;

დ) მედიჩის.

(1) 21. რომელ ევროპელ მონარქთან დაამყარა სამოკავშირეო ურთიერთობები ოსმალეთის სულთანმა სულეიმან I-მა?

ა) საღვთო რომის იმპერატორ ფერდინანდ II-თან;

ბ) საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-თან;

გ) ინგლისის დედოფალ ელისაბედ I-თან;

დ) ესპანეთის მეფე ფილიპე III-თან.

(1) **22. რომელი დინასტიის წარმომადგენლები იკავებდნენ საღვთო რომის იმპერატორის ტახტს პროტესტანტული რეფორმაციის პერიოდში?**

ა) ჰოჰენშტაუფენები;

ბ) ჰოჰენცოლერნები;

გ) ჰაბსბურგები;

დ) ჰანოვერები.

(1) **23. რომელი მსჯელობაა მართებული შაჰ აბას I-ის დაპყრობათა შესახებ?**

ა) მარაბდის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება სცადა, მაგრამ ლევან დადიანის წინააღმდეგობის გამო ფოთის ციხე ვერ აიღო;

ბ) ოცწლიანი ბრძოლის შემდეგ ქართლის მეფე სიმონ I დაატყვევა, კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ კი თავი ირანის ვასალად აღიარა;

გ) ქართლისა და კახეთის დამორჩილების შემდეგ სამხრეთ საქართველოც დალაშქრა და არტანუჯში ირანული გარნიზონი განალაგა;

დ) აღადგინა ირანის გავლენა კავკასიაში, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობა მაინც ვერ შეძლო.

(1) **24. რომელი ფაქტია მართებული საფრანგეთის მეფის, ლუი XIII-ის მმართველობის პერიოდში განვითარებული მოვლენის შესახებ?**

ა) დაიწყო ამერიკელი რევოლუციონერების ჯარითა და ფულით დახმარება;

ბ) მოხდა ფრონდას სახელწოდებით ცნობილი აჯანყება;

გ) დამტკიცდა საფრანგეთის პირველი კონსტიტუცია;

დ) შესუსტდა ჰუგენოტების პოლიტიკური გავლენა.

(1) **25. რომელი ფაქტია მართებული „ოცდაათწლიანი ომის“ შესახებ?**

ა) ჩეხეთში პროტესტანტების აჯანყებით დაიწყო;

ბ) გერმანიაში დანიის ჯარების შეჭრამ დაუდო სათავე;

გ) კათოლიკეების მიერ შვედეთის მეფის მკვლელობამ გამოიწვია;

დ) ინგლისში მეფის დამხობასა და რესპუბლიკის გამოცხადებას მოჰყვა.

(1) 26. რომელი ქართული პოლიტიკური ერთეულის მმართველი იყო ვახტანგ VI?

ა) იმერეთის;

ბ) ქართლის;

გ) კახეთის;

დ) მესხეთის.

(1) **27. ვინ იყო ოლივერ კრომველი?**

ა) მოგზაური, რომელმაც ამერიკაში პირველი ინგლისური კოლონია დააფუძნა;

ბ) სასულიერო პირი, რომელიც ინგლისში რეფორმაციას ჩაუდგა სათავეში;

გ) მხედართმთავარი, რომელიც ინგლისის სამოქალაქო ომში პარლამენტის ჯარს მეთაურობდა;

დ) ადმირალი, რომელმაც ბრიტანეთის ნაპირებთან ესპანელთა უძლეველი არმადა გაანადგურა.

(1) **28. რომელი მსჯელობა *<u>არ არის მართებული</u>* XVII–XVIII საუკუნეებში ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული ინგლისური კოლონიების შესახებ?**

ა) კოლონიათა ერთ ნაწილში ეკონომიკის საფუძველს პლანტაციური მეურნეობა წარმოადგენდა, ასეთ კოლონიებში ინგლისელებმა ბევრი მონა შეიყვანეს აფრიკიდან;

ბ) კოლონიათა იმ ჯგუფში, რომელსაც ნიუ-ინგლენდი ანუ ახალი ინგლისი ეწოდა, პურიტანები დამკვიდრდნენ, მათ ფერმერული მეურნეობა და გემთმშენებლობა განავითარეს;

გ) ზოგიერთი კოლონია ნიდერლანდელთათვის წართმეულ ტერიტორიაზე აღმოცენდა, სადაც ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვანი მოსახლეობა ცხოვრობდა;

დ) კოლონიათა იმ ნაწილში, რომელიც ინგლისელებმა საფრანგეთისგან შეიძინეს, უმეტესწილად ჰუგენოტები ანუ პროტესტანტები ცხოვრობდნენ, მათი უფლებრივი მდგომარეობა სხვა კოლონიების მაცხოვრებლებთან შედარებით შეზღუდული იყო.

(1) **29. რომელი ინფორმაციაა მართებული ნაპოლეონ ბონაპარტეს შესახებ?**

ა) სამხედრო კარიერა ამერიკის დამოუკიდებლობის ომში მონაწილეობით დაიწყო, სადაც თავი გამოიჩინა და მეფის ყურადღება მიიპყრო;

ბ) დირექტორიამ ერთ-ერთი არმიის მეთაურობა ჩააბარა, რომელთან ერთადაც იგი იტალიაში შეიჭრა და დიდი სამხედრო გამარჯვება მოიპოვა;

გ) ჟირონდისტებმა პარიზის პრუსიის არმიისაგან დაცვა დაავალეს და დიქტატორის უფლებებით აღჭურვეს;

დ) ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ რობესპიერმა იგი საფრანგეთის სამხედრო მინისტრად დანიშნა.

(1) 30. რომელ სახელმწიფოში გაიყვანეს პირველად რკინიგზა?

ა) აშშ-ში;

ბ) ინგლისში;

გ) გერმანიაში;

დ) საფრანგეთში.

(1) **31. რომელ სახელმწიფოს გადაეცა ჩრდილოეთ იტალიის ნაწილი ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით?**

ა) პრუსიას;

ბ) შვეიცარიას;

გ) ავსტრიას;

დ) საფრანგეთს.

(1) 32. რომელი პარტიის წარმომადგენელი იყო აშშ-ის პრეზიდენტი, აბრაამ ლინკოლნი?

ა) დემოკრატიული;

ბ) ფედერალისტური;

გ) რესპუბლიკური;

დ) კონსერვატიული.

(1) **33. რომელი ინფორმაციაა მართებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ?**

ა) საქართველოს სახალხო გვარდია რუს ბოლშევიკებს ეხმარებოდა რუსეთის სამოქალაქო ომის დროს;

ბ) საბჭოთა რუსეთმა ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა;

გ) პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კრიზისში მყოფი საქართველო ეკონომიკურად მთლიანად რუსეთზე იყო დამოკიდებული;

დ) საქართველოს მთავრობის თანხმობით სოხუმის პორტიდან შეიარაღებით მარაგდებოდა კოლჩაკის არმია.

(1) **34. რა გარემოებამ იქონია უარყოფითი გავლენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში გაწევრიანებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს?**

ა) ორგანიზაციის წევრი შეიძლებოდა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო გამხდარიყო;

ბ) ევროპის სახელმწიფოები არ აღიარებდნენ კავკასიის კონფედერაციის დაშლას და საქართველოს დამოუკიდებლობას;

გ) დიდი ბრიტანეთი თავს არიდებდა ახალ შეიარაღებულ კონფლიქტს ოსმალეთთან, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა სამხრეთ კავკასიაზე;

დ) სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებდა წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიის დაცვას.

(1) **35. ვის სახელს უკავშირდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული მასობრივი რეპრესიები?**

ა) ლადო კეცხოველის;

ბ) ლავრენტი ბერიას;

გ) ევგენი გეგეჭკორის;

დ) ვასილ კიკვიძის.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 36.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

(1) **36.1. რომელი სახელმწიფოს სამხედრო მოქმედებებია ასახული რუკაზე?**

ა) საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის;

ბ) საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის;

გ) საფრანგეთის პირველი იმპერიის;

დ) საფრანგეთის სამეფოს.

(1) **36.2. რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა დასკვნის გაკეთება შეიძლება საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური წარმატების შესახებ?**

ა) შეუტია ოსმალეთის იმპერიას და კუნძული კრეტა დაიკავა;

ბ) დალაშქრა ესპანეთი და ეს სახელმწიფო საფრანგეთს შეუერთა;

გ) ბრძოლაში დაამარცხა რუსეთის არმია და წაართვა ტერიტორიები;

დ) აწარმოა სამხედრო კამპანია და აიღო ქალაქი ბერლინი.

(1) **36.3. რუკაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ზღვაზე დიდი ბრიტანეთის ფლოტის უპირატესობას?**

ა) ჩრდილოეთის ზღვის გავლით ქალაქ კოპენჰაგენზე მიტანილი იერიში;

ბ) ესპანეთის ნაპირებთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება;

გ) ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდებარე შვედეთის ქალაქების აღება;

დ) ლა-მანშის სრუტეში შეჭრა და ჩრდილოეთ საფრანგეთის ბლოკადა.

(1) **36.4. რუკის მიხედვით, რომელი ქალაქიდან განდევნეს საფრანგეთის ჯარი?**

ა) ბარსელონიდან;

ბ) ლისაბონიდან;

გ) ჰამბურგიდან;

დ) რომიდან.

(1) **36.5. რუკის მიხედვით, რომელმა სახელმწიფომ დაკარგა ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელი რუკაზე ასახული მოვლენების შედეგად?**

ა) შვეიცარიის კონფედერაციამ;

ბ) ავსტრიის იმპერიამ;

გ) იტალიის სამეფომ;

დ) პრუსიის სამეფომ.

(1) **36.6. რა ეწოდებოდა რუკაზე ლურჯი ფერით აღნიშნულ გერმანულ სახელმწიფოთა გაერთიანებას?**

ა) საღვთო რომის იმპერია;

ბ) შმალკალდენის ლიგა;

გ) რაინის კავშირი;

დ) მესამე რაიხი.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 37. ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

37.1. კითხვაზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი ან შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

37.2. და 37.3. დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

37.4. დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება 37.

1862 წელს პრუსიის პრემიერ-მინისტრად ოტო ფონ ბისმარკი დაინიშნა.

კითხვები:

(1) **37.1.** დაასახელეთ ბისმარკის მოღვაწეობის ერთი კონკრეტული შედეგი.

(1) **37.2.** დაასახელეთ კონკრეტული სახელმწიფო, რომლისთვისაც შეიძლება დადებითი შედეგის მომტანი ყოფილიყო ბისმარკის მოღვაწეობა, გარდა პრუსიისა. აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **37.3.** დაასახელეთ კონკრეტული სახელმწიფო, რომლისთვისაც შეიძლება უარყოფითი შედეგის მომტანი ყოფილიყო ბისმარკის მოღვაწეობა. აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **37.4.** დაასახელეთ პიროვნება XIX საუკუნის ევროპის ისტორიიდან, რომლის მოღვაწეობა ბისმარკის მოღვაწეობის ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს. მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

ვახტანგ გორგასალი

უაღრესად საყურადღებო ამბები ხდება V საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ქართლის სამეფო ტახტზე ზის ვახტანგ გორგასალი. ვახტანგის მეფობა დაემთხვა ქართლის ისტორიის მეტად მძიმე ხანას. 450–451 წლების სომხეთისა და ალბანეთის აჯანყების შემდეგ ირანელები ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ. მათ საკმაოდ მალე დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები და ისევ დაიწყეს ქრისტიანობის დევნა. მცხეთაში მოსულა ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვი ბინქარანი, რომელიც დაუფარავად ქადაგებდა თავის რწმენას. მდგომარეობა გართულებულია ჩრდილოეთის საზღვრებთანაც. ირანელთა გამთიშველი პოლიტიკის წყალობით, რიგი უმაღლესი დიდებულებისა სრულებით არ ეპუებოდნენ მეფეს. ვახტანგს მნიშვნელოვანი ოპოზიცია ჰყოლია ეკლესიაშიც.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

როგორც კი ირანელები ხელახლა მომაგრდნენ ამიერკავკასიაში 450-451 წლების აჯანყების შემდეგ, ისევ შემოიღეს სამხედრო ბეგარა და ირანელებს თვით ვახტანგიც წაუყვანიათ საომრად.

უაღრესად საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული ჯუანშერს, რომლის თანახმად ვახტანგს ადრევე გადაუწყვეტია ქართლის ეკლესიის რეორგანიზაცია, კერძოდ კი, კათალიკოსობის დაწესება. კათალიკოსობის დაწესებით ვახტანგი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. პირველ ყოვლისა, ეკლესიის თვითმწყსობა, აძლიერებდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, უეჭველია, მეტ გავლენას იძენდა მღვდელმთავარზე, რომლის არჩევაში მეფეს მეტი ხმა ეძლეოდა. და ბოლოს, ვახტანგმა მოიცილა მთავარეპისკოპოსი, რომელიც მის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ირანელებთან მომავალ ბრძოლაში წარმატებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონზე გადასასვლელებს. მათი ხელში ჩაგდება საშუალებას მისცემდა ვახტანგს, არ გადმოეშვა ჩრდილოეთიდან მოთარეშეები და თვით გადმოეყვანა დამხმარე სამხედრო ძალა. აჯანყების დაწყების წინ ვახტანგმა იერიში მიიტანა თავის მოწინააღმდეგე ქართლის დიდებულებზე. პირველ ყოვლისა, მან თავის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი ბელადი ვარსქენ პიტიახში ჩამოიშორა. აჯანყება ფაქტიურად, ვარსქენის მოკვლით დაიწყო. აჯანყებისათვის დრო კარგად იყო შერჩეული: ირანს ძალიან გართულებული ჰქონდა მდგომარეობა. ანტიირანული აჯანყება უკვე დაწყებულიყო ალბანეთში. ამას ემატებოდა ისიც, რომ ირანელებს ამიერკავკასიაში ცოტა ჯარები ჰყოლიათ, რადგან ისინი აღმოსავლეთში ჰყავდათ გაყვანილი. ცნობამ ვახტანგის აჯანყებაზე აღფრთოვანება გამოიწვია სომეხ თავკაცებში. განსაკუთრებით დიდ იმედს აძლევდა სომხებს ცნობა ვახტანგის ჰუნებთან კავშირისა და თვით ვახტანგის პიროვნება, რადგან ამ დროს ვახტანგი უკვე ცნობილი ყოფილა როგორც მამაცი და ჭკვიანი მეომარი. სომხებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ აჯანყებული ქართველებისათვის.

484 წელს სომხეთში დიდი ლაშქრით შევიდა ირანელი სარდალი ჰაზარავუხტი. მალე მას მიუვიდა შაჰის ბრძანება, რათა ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა. თვით ირანის შაჰი პეროზი კი აღმოსავლეთში ისევ ჰეფთალებთან საომრად წავიდა. ჰაზარავუხტი გადავიდა ქართლში, სადაც შეკრიბა ადგილობრივი დიდებულები, რომლებიც თავიდანვე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მხარს არ უჭერდნენ ვახტანგს. მათ შეუერთდნენ ისინიც, ვინც გორგასალს შემდგომში განუდგნენ. ჰაზარავუხტმა დიდი წყალობა აღუთქვა ყველას და მათგან რაზმიც კი შეადგინა. ვახტანგმა თავი შეაფარა ეგრისს.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ვახტანგმა ვერ შეძლო საბოლოოდ გაეთავისუფლებინა ქართლი ირანული უღლისაგან, მაგრამ მისმა აჯანყებამ ნაწილობრივ მაინც მიაღწია მიზანს. საფიქრებელია, რომ ვახტანგ გორგასალი ამის შემდეგაც განაგრძობდა ამა თუ იმ ფორმით ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ. ძველი ქართული წყაროების თანახმად, იგი ბოლოს და ბოლოს შეეწირა კიდეც ამ ბრძოლას.

ქართლი V ს. მეორე ნახევარში. ვახტანგ გორგასალი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II. თბ. 1973 წ.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **38.1.** მოცემული ტექსტის მიხედვით, ვის წინააღმდეგ აჯანყდნენ 450-451 წლებში სომხები და ალბანელები?

(1) **38.2.** მოცემული ტექსტის მიხედვით, კონკრეტულად რა მოჰყვა შედეგად სამხედრო ბეგარის აღდგენას?

(1) **38.3.** მოცემულ ტექსტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა გაუადვილებდა ჰაზარავუხტს შაჰის დავალების შესრულებას?

(1) **38.4.** მოცემული ტექსტის მიხედვით, ჰუნებთან კავშირის გარდა, კიდევ რა მიზეზმა გადააწყვეტინა სომეხ ფეოდალებს შეერთებოდნენ აჯანყებას?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** მოცემული ტექსტის მიხედვით, დაასახელეთ, კონკრეტულად ვის წინააღმდეგ საბრძოლველად გაიყვანეს ირანელებმა ჯარი ამიერკავკასიიდან.

(1) **38.6.** თქვენი აზრით, რატომ შეაფარა თავი ვახტანგმა ეგრისს და არა რომელიმე სხვა კუთხეს?

(2) **38.7.** მოცემული ტექსტის მიხედვით, ვინ იყო ბინქარანი და რას საქმიანობდა ის?

(2) **38.8** მოცემული ტექსტის მიხედვით, რატომ მოაკვლევინა მეფემ ვარსქენი და რა მოჰყვა ამ მოვლენას?

(2) **38.9.** მოცემული ტექსტის მიხედვით, ჩამოთვალეთ ყველა მიზეზი, თუ რატომ იყო ვახტანგ მეფისთვის მნიშვნელოვანი კავკასიონის გადმოსასვლელების ხელში ჩაგდება.

(2) **38.10.** მოცემული ტექსტის მიხედვით, დაასახელეთ ორი ფაქტი, გარდა ირანის ჯარების აღმოსავლეთში გაყვანისა, რომლებიც ადასტურებს, რომ აჯანყების დრო კარგად იყო შერჩეული.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე